

ემპათია, როგორც ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორი
ქართულ მოზარდებში

ქეთევან ნარიმანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ, ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ნარიმანიშვილი

07 ივლისი, 2020

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მოზარდების ემპათიის და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლები და მათ შორის მიმართება სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან ერთად და ნაკვლევა ემპათია, როგორც ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორი ქართველ მოზარდებში.

კვლევის მიზანი იყო ემპათიასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის მიმართების შესწავლა. ჩატარდა კორელაციური კვლევა. კვლევის ინსტრუმენტებად გამოყენებულია ემპათიის, მოზარდების კეთილდღეობის, ცხოვრებით კმაყოფილების და თვითშეფასების თვითანგარიშის ტიპის კითხვარები. მონაცემების დამუშავდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგების მიხედვით, ემპათია ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორია. გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები ემპათიის მაჩვენებლებში, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ემპათიის მაჩვენებლები უფრო მაღალია. ასაკობრივი განსხვავებები გამოვლინდა მხოლოდ სხვისი პერსპექტივის მიღების მაჩვენებელში. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მაჩვენებლებში გენდერული და ასაკობრივი განსხვავებები არ გამოვლინდა. მთლიანობაში, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ემპათია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორი. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მოზარდების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ემპათიის უნარის და ზოგადად, მათი სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემპათია, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, მოზარდების კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება, თვითშეფასება.

Abstrac

This study presents the analysis of the relationship between empathy and psychological Well-Being among Adolescents with socio-demographic variables and explores empathy as a predictor of psychological well-being among adolescents in Georgia.

The aim of this correlational study was to investigate relationship between empathy and psychological well-being. The study used self-report questionnaire for measuring empathy, adolescent well-being, satisfactions with life and self-esteem. Descriptive and inferential statistical methods were used for analyzing the data. Results showed that empathy predicted psychological well-being. Significant gender differences were found on empathy, namely, female participants scored higher. Age differences were identified only in perspective-taking scale. No significant age or gender differences were found for psychological well-being. On the whole the results confirm that we can consider empathy as predictor of psychological well-being. The results showed that it is important to promote empathy and social-emotional development for psychological well-being of adolescents.

Key words: empathy, psychological wellbeing, adolescent well-being, satisfactions with life, self-esteem.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ამ ნაშრომზე მუშაობა.

განსაკუთრებული მადლობა ჩემ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო ჯავახიშვილს, რომელმაც მომცა მოტივაცია, რომ ამ თემაზე მემუშავა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნაშრომის მომზადების პროცესში. მისი უკუკავშირის და მხარდაჭრის გარეშე ამ ნაშრომის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იქნებოდა.

მადლობა კვლევის მონაწილეებს, რომლებმაც დრო დამითმეს და შეავსეს კითხვარი, მათი დადებითი გამოხმაურება სტიმულს მამლევდა. მათთან ერთად მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც დამეხმარა პანდემიის რთულ პერიოდში კითხვარის გავრცელებაში და მონაცემების შეგროვებაში.

მადლობა ჩემ ლექტორებს და თანაკურსელებს, რომლებთან თანამშრომლობაც მომიწია ამ ორი წლის მანძილზე.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ჩემს ოჯახს, რომლებიც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხარში მედგნენ. მათ გარეშე ვერაფერს შევძლებდი.